



მცხეთა - მთიანეთის
საინფორმაციო
ცენტრი



23.01.2013 17:25

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
 - [პოლიტიკა](#)
 - [საზოგადოება](#)
 - [ადამიანის უფლებები](#)
 - [განათლება](#)
 - [ეკოლოგია](#)
 - [კულტურა](#)
 - [ეკონომიკა](#)
 - [ტექნოლოგიები](#)
 - [სპორტი](#)
- [სტატიები](#)
- [მულტიმედია](#)
- [კონფლიქტის ზონა](#)
- [მედია](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [სტატიები](#) » გიორგი ცაგარეიშვილი – თოვლი რომ დადნება ჩავალთ ყაზბეგშიც

გიორგი ცაგარეიშვილი – თოვლი რომ დადნება ჩავალთ ყაზბეგშიც

2013.01.23 | 11:44 თინათინ
მოსიაშვილი

Like

Kety Gujaraidze, Guliko Shoshitashvili and 14 others like this.



0

Tweet 0

Share



„რომ არა არასამთავრობო სექტორის ძალისხმევა, წინა მთავრობის პირობებში გარემოს დაცვის სამინისტრო რამდენიმეკაციან სტრუქტურად იქცეოდა. ჩვენ ვალში ვართ არასამთავრობო სექტორთან, თუმცა ჩვენთვის გარემოს დაცვა პრიორიტეტია და შევეცდებით, დაგეწიოთ და გიგისწროთ კიდეც“; - ასე დაიწყო არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილმა.

ხელისუფლების საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ შტოებთან დიალოგს მონატრებული „ენ-ჯე-ოეშნიკები“ მრავლად იყვნენ „ვერე-პალასში“.

არასამთავრობო სექტორისა და საპარლამენტო კომიტეტის წევრებს შორის შეხვედრა გუმინ, 22 იანვარს ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ ინიციატივით გაიმართა.

„მწვანე ალტერნატივას“ თავმჯდომარე მანანა ქოჩლაძემ დასაწყისშივე აღნიშნა, რომ შეხვედრის მიზანი იყო პარლამენტარებისთვის გარემოს დაცვის სფეროში არსებული პრობლემებისა და არსებული გამოწვევების გაცნობა, ასევე თანამშრომლობის სამომავლო გეგმებისა და ფორმების განსაზღვრა.

ორჰუსის კონვენციით ნაკისრი, საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საკანონმდებლო ხარვეზები, ბუნებრივი რესურსების, მათ შორის ტყეების მართვა, ალტერნატიული ენერგეტიკა, ჰიდროენერგეტიკული პროექტები და მათი გავლენა გარემოზე - ეს ნაწილია იმ საკითხებისა, რომელზეც სამსაათიან შეხვედრაზე ბჭობდნენ ქვეყანაში გარემოს მდგომარეობით შემფოთებული ადამიანები.

„წინა ხელისუფლების პირობებში გარემოს დაცვა მეორეხარისხოვან დარგად იყო ქცეული, ამიტომ იოლად შეძლეს სამინისტროს გახლეჩა და რომ არა საზოგადოების აქტიურობა, ის შეიძლება საერთოდ გაეუქმებინათ კიდეც. მინისტრი ხაჩიძე მოგზაურობაზე, დოლებისა და ტამტამების შეძენაზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე გარემოს დაცვაზე, - აცხადებს კომიტეტის თავმჯდომარე - „ისე აღარ მოხდება, რომ შინაგან საქმეთა და ენერჯეტიკის მინისტრი იღებდნენ გადაწყვეტილებას, გაესხვისებინათ მიწები უნიკალური სანერგე მეურნეობიდან და იქ მეზოცვრეობის მეურნეობა გაეშენებინათ, არადა, ასე გამოზრდილ ბოცვერს ხომ ბუნებაშიც ვეღარ გაუშვებ (!)“.

ცაგარეიშვილი დაპირდა საზოგადოებას, რომ ამიერიდან ასეთი რამ აღარ განმეორდება: მისი პოლიტიკური გუნდი შეეცდება შეასრულოს „ქართულმა ოცნების“ პროგრამა. ამას დარბაზიდან მოყვა რეპლიკა, რომ ის, რაც წერია დოკუმენტებში, ჯერჯერობით ქალაქებში რჩება.

ცაგარეიშვილი არ დაეთანხმა ასეთ შეფასებას და საკუთარი ხელისუფლების აქტიურობის დასადასტურებლად ერთი „საიდუმლოც“ გასცა: გარემოს დაცვის ახალი მინისტრ ხათუნა გოგალაძის ინიციატივით, სულ მალე საქართველოში ჩამოვლენ ჰოლანდიელი ექსპერტები, რომლებიც ხუდონჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ალტერნატიულ დოკუმენტს დადებენ.

დარიალიჰესის მშენებლობაზე საუბრისას პარლამენტარმა აღნიშნა, რომ არა მარტო მას, არამედ გარემოს დაცვის სამინისტროშიც კი ბევრს ეწყინა, როცა ცოტა ხნის წინ, სამინისტრომ სასამართლო პროცესი მოუგო „მწვანე ალტერნატივას“.

ცაგარეიშვილის თქმით, მისი კომიტეტი მოსმენებს გამართავს ყველა რეგიონში, განსაკუთრებით იქ, სადაც ცხელი წერტილებია, ჩვენ აუცილებლად ჩავალთ ზესტაფონში, თოვლი რომ დადნება, ჩავალთ ყაზბეგშიც“.

თუმცა სანამ თოვლი დადნება და „ენჯეობთან“ მარათონში ჩაბმული კანონმდებლები სტეფანწმინდამდე ჩააღწევენ, იქ დარიალიჰესი ალბათ უკვე აშენებული იქნება და შეიძლება ხდის ხეობაშიც დაიწყონ შენება.

პარლამენტარებისგან განსხვავებით მშენებლები დროს არ კარგავენ: ორგანიზაცია „სტეფანწმინდის“ ხელმძღვანელის შოთა ბუჩუკურის განმარტებით, დარიალიჰესზე ახლაც გამალებულად მიდის მუშაობა. „ეგ კი არა, ხევში, პატრიაირქის ავტორიტეტი რომ იციან, „თერგის მესაფლავენი“ ოჯახ-ოჯახ დადიან და ყველას იმას ეუბნებიან, რომ ჰესების

მშენებლობა პატრიარქის კურთხევით მიმდინარეობს“, – ამბობს ბუჩუკური.

გარემოს დამცველი პარლამენტარები კი თოვლის დადნობას და გაზაფხულის მოსვლას ელოდებიან.

Like Kety Gujaraidze, Guliko Shoshitashvili and 14 others like this.




0
Tweet 0
Share




Add a comment...
 Post to Facebook
Posting as Natalia Ksovreli (Change) [Comment](#)

Facebook social plugin


 მცხეთა - მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი


Like You like this.

You and 1,730 others like მცხეთა - მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი.



Recommendations

 ზაქარია ქუცნაშვილის ოჯახის შემოსავალმა **204 462** ლარი შეადგინა
11 people recommended this.

 ყაზბეგში ჰესების მშენებლობის საკითხს სპეციალური კომისია შეისწავლის
Kety Gujaraidze and 38 others recommended this.

Facebook social plugin